

საქართველოს კანონი

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სკოლის დანიშნულებაა მოსამართლედ დასანიშნი პირის - იუსტიციის მსმენლის პროფესიული მომზადება. სკოლა უზრუნველყოფს იუსტიციის მსმენლის თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აგრეთვე იუსტიციის მსმენლის მიერ მომავალი პასუხისმგებლობისა და კანონით დადგენილ ფარგლებში მოქმედების თავისუფლების შეცნობას, ხელს უწყობს იუსტიციის მსმენლის თანდათანობით ინტეგრაციას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს საქმიანობა.

3. სკოლის დანიშნულებაა ასევე მოქმედი მოსამართლის პროფესიული სრულყოფის მიზნით მათი გადამზადების უზრუნველყოფა, აგრეთვე საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების მიზნით მოსამართლის თანაშემწეობის კანდიდატთა და სხვა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი.

4. დამოუკიდებელი საბჭოს ხუთ წევრს, რომელთაგან ერთ-ერთი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, ამტკიცებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.“;

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დამოუკიდებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.“;

დ) მე-7 პუნქტის:

დ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ.ბ) „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) ამტკიცებს სკოლის წესდებას და სკოლის შინაგანაწესს;“;

დ.გ) „დ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ.დ) „დ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ვ) ამტკიცებს სახელფასო ფონდს, შრომის ანაზღაურებისა და სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობას;“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3¹ მუხლი.

„მუხლი 3¹. დამოუკიდებელი საბჭოს წევრის გათავისუფლება თავისი უფლებამოსილების განხორციელებისაგან

1. დამოუკიდებელი საბჭოს წევრის გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) იმ თანამდებობიდან გათავისუფლება, რომელზეც იგი იმყოფებოდა დამოუკიდებელ საბჭოში დანიშნისას;

გ) ზედიზედ ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;

დ) შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

ე) ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად აღიარება;

- ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ზ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- თ) უფლებამოსილების ვადის გასვლა;
- ი) გარდაცვალება.
2. საბჭოს წევრის გათავისუფლება ხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.“
4. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:
„2. სკოლის დირექტორს, მის მოადგილესა და სტაჟირების ხელმძღვანელს თანამდებობიდან ათავისუფლებს დამოუკიდებელი საბჭო.“
5. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 9. სკოლის სტრუქტურა
სკოლის სტრუქტურა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის წესდებით.“
6. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია საერთო სასამართლოების ბიუჯეტში ცალკე სტრიქონით.
2. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად სკოლას დამოუკიდებელი საბჭოს თანხმობით შეუძლია მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური შემოსავლები ან სხვა მატერიალური დახმარებები ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.“
7. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 11. კონკურსის წესით იუსტიციის მსმენლად მიღება
სკოლაში იუსტიციის მსმენლად მიღება ხდება კონკურსის წესით. კონკურსი ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.“
8. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 13. კონკურსის ჩატარება
კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კონკურსის ფორმა, კანდიდატთა რეგისტრაცია, კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის წესდებით.“
9. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 14. სკოლაში მისაღებ იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობა
სკოლაში მისაღებ იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობას კონკურსის გამოცხადებამდე ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.“
10. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 16. იუსტიციის მსმენლის სტიპენდია
იუსტიციის მსმენელი სასწავლო კურსის დროს იღებს სახელმწიფო სტიპენდიას, რომლის ოდენობა არ შეიძლება იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასის 1/4-ზე ნაკლები.“
11. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 17. იუსტიციის მსმენლის დისციპლინური პასუხისმგებლობა
1. იუსტიციის მსმენელი ვალდებულია დაიცვას დისციპლინური ნორმები.
2. იუსტიციის მსმენლის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა იწვევს ერთ-ერთი შემდეგი სახის დისციპლინურ პასუხისმგებლობას:
ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) ათ დღემდე ვადით სახელმწიფო სტიპენდიის დაკავება;
დ) სკოლიდან გარიცხვა.“

3. იუსტიციის მსმენლის დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული. დისციპლინური გადაცდომის სახეები და დისციპლინური დევნის განხორციელების წესები განისაზღვრება ამ კანონითა და სკოლის შინაგანაწესით.

4. იუსტიციის მსმენლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს და წყვეტს სკოლის დირექცია. სკოლის დირექციას უფლება აქვს იუსტიციის მსმენელს ვადამდე ადრე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მსმენელმა.

5. თუ იუსტიციის მსმენელს შვიდი თვის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.“.

12. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თეორიული კურსის, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საბჭო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე